GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

**პროექტი**

**„ბავშვები ბავშვებისათვის“**

## 1. პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვების დემოკრატიული საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ფორმირებას, ბავშვების სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციულ კულტურულ ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას, სხვაზე ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას, ტოლერანტობისა და სოლიდარობის, პრინციპების დამკვიდრებას.

პროექტი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას ერთი მხრივ, თავად იზრუნონ ადამიანებზე, საზოგადოებაზე, სამშობლოზე, მეორე მხრივ, სხვებსაც მისცენ მოტივაცია.

## 2. პროექტის აღწერა

პროექტის ფარგლებში ბავშვები მოიფიქრებენ პროექტს, რომლის მიზანი იქნება მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობა. გამარჯვებული პროექტების ავტორ(ებ)თან გაგრძელდება მუშაობა მცირე ჯგუფებში პროექტების განსახორციელებლად. პროექტის საბოლოო გამარჯვებულები გაემგზავრებიან საზღვარგარეთ უნივერსიტეტის დაფინანსებით. პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ 10-12 კლასის მოსწავლეებს.

## 3. პროექტის ფორმალური მოთხოვნები

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ფორმის მიხედვით (პროექტის ფორმა იხილეთ თანდართულ ფაილში) და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის ავტორ(ებ)ის შესახებ;
- პროექტის დასახელება;
- პროექტის განხორციელების ადგილი;
- პროექტის აღწერა;
- პროექტის მიზანი;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კვლევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პროექტის მოსალოდნელი შედეგები;
- პროექტის მონაწილეთა სახელი, გვარი, ფუნქციათა გადანაწილება;

- პროექტის ბიუჯეტი.

პროექტის წარმოდგენა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად (არაუმეტეს 2 აპლიკანტი).

**4. გამარჯვებული პროექტების დაჯილდოება**

გრუნი დააფინანსებს გამარჯვებული პროექტების ავტორების ვიზიტს ჟენევაში *(ტური გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში)* ან/ ბრიუსელში *(ტური ნატოში, ევროპის კავშირის სტრუქტურებში).*

**5. პროექტის ვადები და ეტაპები:**

***პირველი ეტაპი***

შეხვედრა გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის ვიცე - პრეზიდენტთან - სოფო კილაძესთან პროექტის დეტალების წარდგენის მიზნით - **2023 წლის 23 დეკემბერი, 13.00 საათი.**

შეხვედრა ჩატარდება ჰიბრიდულ რეჟიმში, ბავშვების ნაწილისთვის ონლაინ.

**მეორე ეტაპი:**

ბავშვების მიერ შემუშავებული პროექტის წერილობით გამოგზავნა 2024 წლის 1 თებერვლამდე.

შეხვედრა სოფო კილაძესთან  და იმ პროექტების განხილვა, რომლებიც აკმაყოფილებენ ფორმალურ და შინაარსობრივ მოთხოვნებს - **2024 წლის 16-17 თებერვალი 13.00 სთ. (ჯგუფებად, წინასწარი განრიგით)**

პროექტი იგზავნება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: **teenacademy@gruni.edu.ge**

საკონტაქტო პირი: 599 776 771 მერი ლომია;

***მესამე ეტაპი:***

**2023 წლის 22 მარტს, 13.00 სთ.** შერჩეული პროექტების ავტორები პროექტის შესრულების შესახებ პრეზენტაციას გააკეთებენ ჟიურის წინაშე, გამოვლინდება გამარჯვებული პროექტები.

*შენიშვნა: პროექტის მონაწილეებს გადაეცემათ გრუნის 20%-იანი ფასდაკლების ვაუჩერი (მოქმედებს გრუნის პირველ ნომრად არჩევის შემთხვევაში) და პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.*